სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში კონკურსის ჩატარების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. გამოყენების სფერო

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) კონკურსის ჩატარების წესი ვრცელდება აკადემიაში დასაქმების მსურველ კანდიდატებზე და განსაზღვრავს აკადემიაში კონკურსის ჩატარების წესს.

მუხლი 2. კონკურსის განხორციელების პრინციპებია:

ა)ობიექტურობა;
ბ)კოლეგიურობა
გ)კორექტულობა;

თავი II. საკონკურსო კომისია

მუხლი 3. კომისიის ფუნქციები

კომისიის ფუნქციებია:
ა) პირის პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და პირადი შესაძლებლობების შეფასების პროცედურის წარმართვა;
ბ) სამსახურში მიღების უფლების მქონე პირისათვის კონკურსანტის, შეფასების თაობაზე დასკვნის წარდგენა.
გ) კონკურსის შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით.

მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა და დანიშვნის წესი

1.აკადემიაში კონკურსს ატარებს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავჯდომარე და კომისიის წევრები, ასევე კომისიის მდივანი.
2.კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მონაწილეობდნენ მოწვეული სპეციალისტები, ასევე სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.
3.კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს აკადემიის დირექტორი (შემდგომში - დირექტორი).

მუხლი 5. კომისიის თავჯდომარე

1. კომისიის თავჯდომარედ ინიშნება დირექტორი ან დირექტორის მოადგილე.
2. კომისიის თავჯდომარე წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას.

მუხლი 6. კომისიის რეგლამენტი

1.კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავჯდომარე.

2.კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3.კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეია კომისიის სხდომის თავჯდომარის ხმა.

4.კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავჯდომარე, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავჯდომარის ხმა.

5. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს,რის შესახებაც აღინიშნება ოქმში.

თავი III. კონკურსი

მუხლი 8. კონკურსის მიზანი და ამოცანები

1.კონკურსის მიზანია დასაკავებელი პოზიციის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.

2.კონკურსის ამოცანაა კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული უნარჩვევების და პიროვნული შესაძლებლობების შეფასება და დასაკავებელი პოზიციის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა.

მუხლი 9. კონკურსის გამოცხადება

1.კონკურსის გამოცხადება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით.

2. კანდიდატების განცხადებების მიღება ხდება ელექტრონული ფორმით.

3.კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა)კონკურსის წესით შესავსები პოზიციის დასახელებას;

გ)კანდიდატისთვის წაყენებულ მოთხოვნებს;

დ)ინფორმაციას კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების ელექტრონული ფორმით მიღების ადგილსა და დროის შესახებ;

მუხლი 10. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება კანდიდატს

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს 19 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს საკონკურსო პოზიციის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 11. წარსადგენი საბუთები

1. კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კანდიდატმა აკადემიას უნდა წარუდგინოს სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის შრომის შინაგანაწესის მე-3 მუხლის შესაბამისად წარსადგენი დოკუმენტაცია.

მუხლი 12. კონკურსის ჩატარების პროცედურა

1.კონკურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:
ა)წერითი დავალება ან/და სხვადასხვა სახის ტესტირება;
ბ)გასაუბრება.
2.კონკურსის პროგრამას, ფორმებს და პირობებს განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.
3.წერითი დავალებისა და ტესტირების გამსვლელ ქულებს განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.
4. კანდიდატთა მიერ წერითი დავალებით და ტესტირებით მიღებული შედეგების შესაბამისად საკონკურსო კომისია განსაზღვრავს გამსვლელ ქულას.
5. დადებითი შეფასების მქონე კანდიდატის დანიშვნის მქონე პირი უფლებამოსილია კანდიდადის მიმართ გამოიყენოს გამოსაცდელი ვადა არაუმეტეს 6 თვისა.

მუხლი 13. კანდიდატურების განხილვა და კონკურსის შედეგები:

1.კომისია საკონკურსო ეტაპის ან/და ეტაპების დასრულების შემდეგ კანდიდატების დაუსწრებლად განიხილავს დასაკავებელ პოზიციასთან თითოეული კანდიდატის შესაბამისობის საკითხს.
2.კონკრეტულ პოზიციაზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
3.კომისიის მიერ კენჭისყრა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად.
4.კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისია თითოეულ პოზიციაზე დასანიშნად წარადგენს ერთ კანდიდატს, ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

მუხლი 14. ჩაშლილი კონკურსი

თუ კომისიამ უარი განაცხადა კანდიდატის წამოყენებაზე ან ამ პოზიციაზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, კონკურსი ითვლება ჩაშლილად რაც ფიქსირდება შესაბამისი ოქმით.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 15.

ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.